

ევროკავშირის შესახებ

ეროვნული კონვენცია საქართველოში

საქართველოში ახალგაზრდული
საქმიანობის შედეგად შექმნილი
უნარების აღიარებისა და
ვალიდაციის სისტემის შექმნა

მარინა ჟვანია

პროექტის პარტნიორი: სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაცია (SFPA)
განმახორციელებელი პარტნიორი: ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი (LMF)
დონორი ორგანიზაცია: SLOVAKAID და ფრიდრიხ ებერტის ფონდი
პროექტის ხანგრძლივობა: თებერვალი 2021 – აგვისტო 2022



ფონდი ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFP
Slovak Foreign Policy Association



შინაარსი

შესავალი	3
მოკლე მიმოხილვა	3
ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ევროპის ქვეყნებში და აღიარების არსებული ძირითადი პრაქტიკები	4
ევროპულ დონეზე არსებული აღიარების საკვანძო პრაქტიკები.....	4
Youthpass	5
ახალგაზრდა ლიდერებისა და ახალგაზრდული მუშაკების ევროპული პორტფოლიო.....	6
ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ირლანდიაში.....	6
Skills Summary.....	7
ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ესტონეთში	
ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ლიეტუვაში	9
ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია იტალიაში	
ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია სლოვენიაში	11
საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის მიმართულებით სიტუაციის მიმოხილვა.....	12
რეკომენდაციები საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის განვითარებისთვის.....	13
ბიბლიოგრაფია	14

შესავალი

ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება და პოლიტიკის ახალ დოკუმენტებში, ევროპულ თუ ეროვნულ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობისთვის უწყვეტად ისაზღვრება ახალი როლი და ამოცანები. მოლოდინია, რომ ახალგაზრდული საქმიანობა გააუმჯობესებს სოციალურ ჩართულობას, ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების შენებას, გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს, მოახდენს ჯანმრთელობის რისკების პრევენციას და ა.შ.

ამავდროულად, თავად სექტორში არის შემდგომი წინსვლის ძლიერი მოტივაცია და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც იდგმება ევროპულ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეებზე, ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და აღიარების მიმართულებით. ხარისხის ასამაღლებლად იქმნება სტანდარტები და ინდიკატორები, ასევე მეთოდოლოგიური ბაზა და სახელმძღვანელოები, რაც შესაძლებელს ხდის ახალგაზრდული საქმიანობისთვის თავად განვითარდეს და დადებითი გავლენა მოახდინოს ახალგაზრდებისა და საზოგადოების ცხოვრებაზე.

ყველა ამ ძალისხმევას საფუძვლად უდევს იმ ფაქტის გააზრება, რომ ახალგაზრდული საქმიანობისთვის დღეისთვის არსებული რესურსები და მხარდაჭერა ვერ უზრუნველყოფს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი შედეგების მიმართ სისტემატურად მზარდი მოლოდინების დაკმაყოფილებას. ახალგაზრდული საქმიანობა ხშირად მოცალეობის კონტექსტში ხორციელდება, ძირითადად, უკავშირდება არაფორმალურ სწავლას და განათლების სხვა სექტორებთან შედარებით, ძალიან მწირი მხარდაჭერა აქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საჭიროა ახალგაზრდულ საქმიანობას უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს და წმინდა რაოდენობრივი შედეგების გაზომვის ნაცვლად, ყურადღება ხარისხობრივ ეფექტებზე გამახვილდეს.

მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტში აღწერილია ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარების და ვალიდაციის მექანიზმები ევროპის რიგი ქვეყნების მაგალითებზე. მიმოხილულია საქართველოში არსებული მდგომარეობა ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის კუთხით. დოკუმენტი ასევე მოიცავს რეკომენდაციებს საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის განვითარებისთვის.

ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ევროპის ქვეყნებში და აღიარების არსებული ძირითადი პრაქტიკები

ევროკავშირის 2019-2027 წლების ახალგაზრდული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახალგაზრდების მუშაობის მხარდაჭერა, რაც ახალგაზრდების გაძლიერების კატალიზატორად არის მიჩნეული. ახალგაზრდული საქმიანობა აღიარებულია როგორც ახალგაზრდების საკვანძო პიროვნული, პროფესიული და სამეწარმეო კომპეტენციებითა და უნარებით აღჭურვის მძლავრი ინსტრუმენტი და ხიდი განათლებას, გადამზადებასა თუ დასაქმებას შორის, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები თავიდან აიცილებენ საზოგადოებრივ გარიყულობას და იზოლაციას.

ამ მიზნების მისაღწევად, Erasmus+-ის მონაწილე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებს შორის არსებობს შეთანხმება (რომელიც ასახულია ევროკავშირის სტრატეგიასა და საბჭოს შესაბამის რეზოლუციებში) ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერის, მათ შორის, პოლიტიკის განვითარების, საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისა და საკმარისი რესურსების უზრუნველყოფის ირგვლივ. შეთანხმების მონაწილე მხარეები, ასევე დებენ პირობას, რომ გაზრდიან ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხს და განახორციელებენ ინვესტიციებს ინოვაციების მიმართულებით, მხარს დაუჭერენ ახალგაზრდული მუშაკის პროფესიას და გააუმჯობესებენ ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარებისა და კომპეტენციების აღიარების ინსტრუმენტებს.

დოკუმენტში განხილულია ევროკავშირის დონეზე და აგრეთვე, ევროპის ქვეყნებში არსებული ზომები, რომლებიც ემსახურება ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებასა და ვალიდაციას.

ევროპულ დონეზე არსებული აღიარების საკვანძო პრაქტიკები

აღიარების განმარტების მიხედვით, არსებობს ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული მუშაკების (პროფესიონალებისა და მოხალისეების) ინდივიდუალური, სოციალური, ფორმალური და პოლიტიკური აღიარება. საკითხის უკეთ გასარკვევად, საჭიროა განვასხვავოთ აღიარების ეს ოთხი განზომილება და განვსაზღვროთ აღიარების მიზნები და აქტორები:

თვით აღიარება ან ინდივიდუალური აღიარება გულისხმობს ინდივიდუალურ გაცნობიერებას და სწავლის შედეგების შეფასებას, და ამ შედეგების სხვა სფეროებში გამოყენების უნარს. აქ ასევე იგულისხმება ახალგაზრდულ სექტორში ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობის გააზრებას. ინდივიდუალური აღიარება ქმნის აღიარების სხვა ფორმებისა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საფუძველს.

სოციალური აღიარება გულისხმობს, რომ საზოგადოების სხადასხვა აქტორებს, მაგალითად, მშობლებს, სკოლასა და დამსაქმებლებს ესმით ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობა და აღიარებენ არაფორმალურ სასწავლო გარემოში შეძენილ კომპეტენციებს.



ՀԱՅԿԱԳ ԲՆԵՐՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄ ԳՐԱԴԱՐԱՆ
THE LEVIAN MIKELADZE FOUNDATION



SFP
Slovak Foreign Policy Association

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

ფორმალური აღიარება ხშირად ასოცირდება სწავლის შედეგების ვალიდაციასა და სწავლის პროცესის და/ან მისი შედეგების სერტიფიცირებასთან. ამ პროცესის ფარგლებში, ძირითადად, ხდება სწავლის პროცესის მიღწევების შედარება ფორმალური განათლების სექტორში მიღებულ კვალიფიკაციებთან. აქ შეიძლება ასევე იგულისხმებოდეს ოფიციალური სტატუსის სხვა ტიპების ან ასპექტების მიღება, მაგალითად, სასწავლო პროგრამების აკრედიტაცია, ახალგაზრდული საქმიანობის ლიცენზირება და ა.შ.

პოლიტიკური აღიარება, მაგალითად, გამოიხატება იმ პოლიტიკასა და საკანონმდებლო ჩარჩოში, რომელიც ეხება ახალგაზრდულ საქმიანობას ან არაფორმალურ განათლებას. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს არაფორმალური სწავლისა და მისი მიმწოდებლების იტეგრაციის ხარისხი სხვადასხვა დონეებზე არსებულ პოლიტიკურ სტრატეგიებში.

ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში ევროპულ დონეზე მოქმედი აღიარების საკვანძო პრაქტიკები Youthpass-ისა და ახალგაზრდა ლიდერებისა და ახალგაზრდული მუშაკების ევროპული პორტფოლიოს სახელითაა ცნობილი (European Portfolio for youth leaders and youth workers).

Youthpass

Youthpass-ი წარმოადგენს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტსა და სტრატეგიას, რომელიც ემსახურება არაფორმალური განათლების აღიარებას ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში. Youthpass-ის ჩარჩო, მათ შორის მისი განვითარება და განხორციელება, ეფუძნება ევროკავშირის პროგრამას სახელწოდებით „ახალგაზრდები მოქმედებენ“ (Youth in Action Programme). ეს სტრატეგიული მიდგომა მიზნად ისახავს არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის აღიარების ინდივიდუალური, სოციალური, ფორმალური და პოლიტიკური განზომილებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ასევე ამ საკითხების ირგვლივ პროფესიულ წრეებსა და ფართო საზოგადოებაში დისკუსიის ხელშეწყობას. Youthpass-ი, როგორც ინსტრუმენტი - იგულისხმება პროცესიც და აღიარებაც - აქცენტირებულია სწავლაზე პროგრამის მონაწილეებისთვის და ასევე, თვალსაჩინოს ხდის ამ პროცესის მნიშვნელობას ფართო საზოგადოებისთვის. იგი აძლიერებს ინდივიდუალურ რეფლექციას, აღვივებს ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობის ცნობიერებას, მხარს უჭერს ახალგაზრდული საქმიანობის აღიარებას და ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული მუშაკების დასაქმების პოტენციალის განვითარებას.

Youthpass-ის, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება დამატებით ღირებულებას სძენს ახალგაზრდულ პროექტებს რამდენიმე მიმართულებით:

- Youthpass-ის პროცესის მეშვეობით, სწავლაზე რეფლექცია სტრუქტურირებული ხდება, ხოლო პროექტის საგანმანათლებლო მნიშვნელობა - უფრო ღირებული. იგი ეხმარება მონაწილეებს მეტად გააცნობიერონ სწავლის მნიშვნელობა. ახალგაზრდების, რომლებიც

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა კარგად აცნობიერებენ შეძენილ კომპეტენციებს, უადვილდებად მათი შემდგომი გამოყენება. ამგვარად, Youthpass-ი ხელს უწყობს ახალგაზრდებისთვის გზის გაკვალვას.

- ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში სასწავლო პროცესსა და მის შედეგებზე ფოკუსირება, ხელს უწყობს „ვისწავლოთ სწავლის“ კომპეტენციის გაძლიერებას. იგი ამალღებს მონაწილეთა ცნობერებას სწავლის შესახებ მრავალღეროვან კონტექსტში და ეხმარება მათ გაიაზრონ სწავლასთან დაკავშირებული სურვილები და საჭიროებები.
- ახალგაზრდულ პროექტებში მონაწილეობის შედეგად შეძენილი კომპეტენციების აღწერა ხელს უწყობს ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობის ცნობადობის ამალღებას.

Youthpass-ის ფარგლებში აღიარებული საკვაძნო კომპეტენციებია:

- ლინგვისტური კომპენტეციები
- ინდივიდუალური, სოციალური და „ვისწავლობთ სწავლას“ კომპეტენცია
- მოქალაქეობრივი კომპეტენციები
- სამეწარმეო კომპეტენციები
- კულტურული ცნობიერებისა და გამოხატვის კომპეტენციები
- ციფრული კომპეტენცია
- მათემატიკური და სამეცნიერო, ტექნოლოგიური და საინჟინრო კომპეტენციები
- წიგნიერების კომპეტენცია

ახალგაზრდა ლიდერებისა და ახალგაზრდული მუშაკების ევროპული პორტფოლიო

ახალგაზრდა ლიდერებისა და ახალგაზრდული მუშაკების ევროპული პორტფოლიო წარმოადგენს ევროპის საბჭოს ინიციატივას. იგი უზრუნველყოფს ახალგაზრდა ლიდერებსა და ახალგაზრდულ მუშაკებს, მოხალისეებსა და/ან პროფესიონალებს იმ ინსტრუმენტით, რომელიც ეხმარება მათ განსაზღვრონ, შეაფასონ და აღწერონ საკუთარი კომპეტენციები ხარისხის ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობით. პორტფოლიოს მეშვეობით ახალგაზრდა ლიდერებსა და ახალგაზრდულ მუშაკებს შეუძლიათ არა მხოლოდ წვლილი შეიტანონ საკუთარი გამოცდილებისა და უნარების აღიარებაში, არამედ ხელი შეუწყონ ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლებისა და სწავლების უფრო ფართო აღიარებასაც.

ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ირლანდიაში

Erasmus+-ის მიერ მხარდაჭრილი პროგრამების - „ახალგაზრდები მოქმედებენ“ და „ევროპის სოლიდარობის კორპუსის“ (European Solidarity Corps) მონაწილეებს შეუძლიათ მოიპოვონ შეძენილი უნარებისა და კომპეტენციების აღიარება Youthpass-ის სერთიფიკატის მეშვეობით. Youthpass-ი წარმოადგენს ინტერნეტში ხელმისაწვდომ თვითშეფასების ინსტრუმენტს, სადაც მონაწილეები აღნუსხავენ სასწავლო პერიოდში შეძენილ უნარებსა და კომპეტენციებს. Youthpass -ის სერთიფიკატი წარმოადგენს მონაწილეობის დასტურს, რომელსაც გასცემს Erasmus+-ის



საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

„ახალგაზრდები მოქმედებენ“ ან „ევროპული სოლიდარობის კორპუსის“ აქტივობების ორგანიზატორები. სერთიფიკატი მფლობელს არ ანიჭებს რაიმე უფლებას და არ წარმოადგენს კომპეტენციების ფორმალურ აკრედიტაციას. ირლანდიაში, როგორც წესი, არ ხდება Youthpass-ის სერთიფიკატის, როგორც რაიმე კონკრეტული კვალიფიკაციის, აკრედიტაცია. მისი აკრედიტაციის გადაწყვეტილება და ასევე აკრედიტაციის წესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ინდივიდუალური დისკრეციაა.

Skills Summary

Skills Summary, ანუ უნარების შეჯამება ინტერნეტში უფასოდ ხელმისაწვდომი ინსტრუმენტია, რომელიც ზომავს ახალგაზრდების მიერ ახალგაზრდულ საქმიანობას ან არაფორმალურ განათლების რომელიმე ფორმაში მონაწილეობის შედეგად შეძენილ უნარებს, მაგალითად, მოხალისეობას. ინსტრუმენტი აძლიერებს დიალოგს ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ მუშაკებს ან მენტორებს შორის. მისი გამოყენება თვითშეფასების მიზნით შეუძლიათ ახალგაზრდებს და ასევე ორგანიზაციებსაც. ინსტრუმენტის გამოყენება შეუძლია ყველას, ვინც დაინტერესებულია პიროვნული/პროფესიული უნარების განვითარებით ან ამ სფეროში მუშაობს. თუმცა, ინსტრუმენტის სამიზნე ჯგუფს 16-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები წარმოადგენენ. ინსტრუმენტის მიზანია განამტკიცოს ახალგაზრდებში თავდაჯერებულობა, რათა მათ შეძლონ პოტენციური დამსაქმებლების წინაშე საკუთარი უნარებისა და კომპეტენციების წარმოჩენა.

ინსტრუმენტი შეიქმნა ირლანდიის ეროვნული ახალგაზრდული საბჭოს (National Youth Council of Ireland) მიერ და მის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ბავშვთა, თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ინტეგრაციისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი (Department of Children, Equality, Disability, Integration and Youth). ინსტრუმენტი, როგორც საზომი საშუალება, აღიარებულია „ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივის“ მიერ (Youth Employability Initiative).

ინსტრუმენტი ზომავს შემდეგ 12 საკვანძო კომპეტენციას:

- კომუნიკაციის უნარები
- ინტერპერსონალური უნარები
- გუნდური მუშაობა
- გადაწყვეტილების მიღება
- პრობლემების გადაჭრა
- ორგანიზაციული უნარები
- ადაპტურობა
- ლიდერობა
- მეწარმეობა
- მედეგობა
- ეთიკა და პატიოსნება
- IT უნარები

ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ესტონეთში

ახალგაზრდული სექტორის განვითარების 2021-2035 წლების გეგმა განსაზღვრავს ახალგაზრდული საქმიანობას (აქ ასევე მოიაზრება ინტერესების წამახალისებელი, განათლება, ე.წ. hobby education) როგორც ახალგაზრდების განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც მათ სძენს მრავალფეროვან ცოდნასა და უნარებს და უყალიბებს მიდგომებს. შესაბამისად, ესტონეთში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მრავალფეროვანი ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებას.

გასულ წლებში ახალგაზრდებს შეეძლოთ საკუთარი გამოცდილების შეფასება და დოკუმენტირება Teeviit-ის სახელით ცნობილი სპეციალური ციფრული ინსტრუმენტის მეშვეობით. ინსტრუმენტი მომხმარებელს საშუალებას აძლევდა დამატებით მიეთითებინა სასწავლო (მაგ. ფორმალური განათლება, სტუდენტურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ტრენინგი, სემინარები, კონფერენციები, მოხალისეობრივი საქმიანობა, ახალგაზრდულ ბანაკებში მონაწილეობა და ჰობი) და სამუშაო გამოცდილება (სამსახური, პრაქტიკა, სამუშაო ბანაკები, ორგანიზაციების წევრობა და ა.შ). გარდა ამისა, ინსტრუმენტის გამოყენებით მომხმარებელს შეეძლო საკუთარი გამოცდილების ანალიზიც. ამ პროცესის შედეგად ინსტრუმენტი ადგენდა ინდივიდუალურ CV-ს, რომლის გადაგზავნაც შესაძლებელი იყო პოტენციური დამსაქმებლისთვის ელექტრონული ფოსტით.

ამ ინსტრუმენტის პარალელურად, გაჩნდა სხვადასხვა ინიციატივები, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს წარმოაჩინონ მოხალისეობრივი გამოცდილება და შეძენილი კომპეტენციები. მაგალითად, რეგიონულ დონეზე გაცემული Tankla Volunteer Pass, ანუ მოხალისის ნებართვა და outhPass-ი ახალგაზრდულ ევროპულ პროგრამებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემის საშუალებას იძლევა.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტეგრაციის საკითხებს. მაგალითად, ამ მიზნით შეიქმნა ეროვნული პორტალი NOPIK-ი, რომლის მიზანია წარმატებული პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა. სწავლის სხვადასხვა ალტერნატივების უფრო ეფექტიანი ინტეგრაცია ახალგაზრდული სექტორის განვითარების 2021-2035 წლების გეგმის ერთ-ერთი აღიარებული პრიორიტეტია. არსებობს ასევე ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი კომპეტენციების ფორმალური განათლების ინსტიტუტების მიერ აღიარების პრაქტიკაც, თუმცა ეს დამოკიდებულია სკოლებსა და მასწავლებლებზე, ასევე ადგილობრივი დონეზე თანამშრომლობის პრაქტიკის ხარისხზე. მაგალითად, თუ ახალგაზრდა რეგულარულად მონაწილეობს კლასგარეშე სპორტულ ღონისძიებებში, შესაძლებელია მას ამგვარი საქმიანობა ჩაეთვალოს სასკოლო ფიზიკური განვითარების ალტერნატივად. NOPIK-ი ასევე შეტანილია რამდენიმე ისეთი ინიციატივაც, რომლებიც შემუშავდა ზოგადი განათლების ინსტიტუტებსა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ფორმალურ სასწავლო პროგრამის მეტად მრავალფეროვანი და მოქნილი აქტივობებით გამდიდრების მიზნით. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა გულისხმობდა სასწავლო პროგრამაში ადგილობრივი ჰობის სკოლაში თვით ინიცირებული პროექტების შეტანას.



საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

ეროვნულ დონეზე მოქმედებს წინა სასწავლო და სამუშაო გამოცდილების აღიარების სისტემა (VÖTA), რომლის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდებს მოიპოვონ უკვე შექმნილი გამოცდილების აღიარება ფორმალური განათლების სექტორში იმისდა მიუხედავად, თუ როგორ მიიღეს ეს გამოცდილება. VÖTA-ს გამოყენება ასევე შესაძლებელია პროფესიული კვალიფიკაციის სერტიფიკატის (აქ ასევე იგულისხმება ახალგაზრდული მუშაკის სერტიფიკატი) მიღების პროცესში. მისი გამოყენება შეუძლიათ 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდებს, რადგან ინსტრუმენტი ძირითადად მოზრდილთა განათლებაზეა მორგებული.

ახალგაზრდული სექტორის განვითარების 2021-2035 წლების გეგმა განსაზღვრავს ახალგაზრდული საქმიანობას (აქ ასევე მოიაზრება ინტერესების წამახალისებელი, განათლება, ე.წ. hobby education) როგორც ახალგაზრდების განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც მათ სძენს მრავალფეროვან ცოდნასა და უნარებს და უყალიბებს მიდგომებს, მათ შორის:

- ახალგაზრდების გაძლიერება და პირობების შექმნა დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის
- სამუშაო გამოცდილების შექმნა და დასაქმების ბაზარზე ცვლილებების ამოცნობა
- ახალგაზრდების, როგორც ღირებულებების მატარებლებისა და გამხმრვანებლების გაძლიერება

ეროვნული ახალგაზრდული სტრატეგიით აღიარებულია, რომ ახალგაზრდული საქმიანობა საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს ნაყოფიერად და სასიამოვნოდ გაატარონ ახალგაზრდობის წლები, შეიძინონ საკუთარი თავი და სხვები და შედეგად, შეიძინონ გარემომცველ სამყაროში ნავიგაციის უნარები. ახალგაზრდული საქმიანობა ხელს უწყობს შემდგომი უნარების, ზოგადი კომპეტენციებისა და სპეციალური უნარების განვითარებას, აძლიერებს სოციალურ კავშირებს, აუმჯობესებს სოციალური კაპიტალის ხარისხს და დადებით გავლენას ახდენს ქცევაზე, მათ შორის აქტიური და ინიციატივანი მოქალაქის ჩამოყალიბებაზე.

შესაბამისად, მრავალფეროვანი ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი კომპეტენციების აღიარებას ესტონეთში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეროვნულ ახალგაზრდულ სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ ახალგაზრდებში არსებული ნიჭის, მათი ინტერესებისა და კრეატიულობის განვითარება თანმიმდევრულ მხარდაჭერას საჭიროებს. ამათან, ფორმალური განათლებისა და დასაქმების სექტორებში გათვალისწინებული უნდა იყოს არაფორმალური განათლების შედეგად მიღებული ცოდნა, უნარები და გამოცდილებაც.

ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარება და ვალიდაცია ლიეტუვაში

ლიეტუვას არაფორმალური განათლების ასოციაცია ზრუნავს მიღწევებისთვის მოტივაციისა და აღიარების სისტემების განვითარებაზე და იყენებს გლობალური Digital Open Badges-ის სტანდარტებს წარმატებების აღნუსხვის, გაზომვისა და აღიარებისთვის. ასოციაცია თანამშრომლობს ახალგაზრდული საკითხების დეპარტამენტთან არაფორმალური განათლების

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

სექტორში (მათ შორის, ახალგაზრდულ საქმიანობაში) მიღწეული წარმატებების კონტექსტზე მორგებული შეფასებისა და აღიარების მიზნით.

ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია იტალიაში

Youthpass-ი წარმოადგენს იტალიაში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი კომპეტენციების აღიარების ძირითად ინსტრუმენტს. ახალგაზრდულ საქმეთა ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს Youthpass-ის გამოყენების პოპულარიზაციას და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს Erasmus+-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. მაგალითად, 2018 წელს, სააგენტომ ხელი მოაწერა სპეციალურ ორწლიან პროტოკოლს პიემონტის რეგიონთან Youthpass-ის პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრების, სემინარებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიის მეშვეობით. სააგენტო ასევე უჭერს მხარს Youthpass-ის, როგორც საუნივერსიტეტო მომზადების კრედიტის (UTCs) აღიარებისთვის სასარგებლო ინსტრუმენტის გამოყენებას. თუმცა, იტალიაში ჯერ კიდევ არ არსებობს ეროვნული დონის რეგულაცია ან გზამკვლევი უნივერსიტეტებისთვის, რადგან საუნივერსიტეტო მომზადების კრედიტის აღიარება დამოკიდებულია იმ ინდივიდუალურ კურსებზე, რომლებსაც სტუდენტები აღრიცხავენ საკუთარ Youthpass-ში.

იტალიური ორგანიზაციების მიერ Erasmus+-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების ფარგლებში შემუშავდა კომპეტენციების თვითშეფასებისა და გამჭვირვალების სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებიც დაეფუძნა Erasmus+-ის შედეგებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ინსტრუმენტების გავლენას დასაქმებაზე, რაც უკავშირდება ახალგაზრდულ პროექტებში მონაწილეობის შედეგად ახალგაზრდების მიერ შეძენილი უნარების გამჭვირვალებას. ქვემოთ მოცემულია იტალიური ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შედეგად შემუშავებული ინსტრუმენტების რამდენიმე მაგალითი:

- **I've-I have Experienced:** სამუშაო ბანაკებსა და მოხალისეობრივი საქმიანობის წამახალისებელი პროექტების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების აღიარების ინსტრუმენტი. ინსტრუმენტს აქვს სპეციალური აპლიკაცია, რომელიც ავოტმატურად აგენერირებს კომპეტენციის აღიარების სერთიფიკატს.
- **Easy Soft-Skills:** ინსტრუმენტი შემუშავდა იმ გამოცდილების თვითშეფასების მიზნებისთვის, რომელსაც მონაწილეები საერთაშორისო მოხალისეობრივ პროექტებში მონაწილეობით იძენენ.
- **Voyce - Volunteering Youth:** თვითშეფასების ტესტი, რომელიც ფოკუსირებულია ახალგაზრდა მოხალისეების მიერ შეძენილ გამოცდილებაზე და რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დასაქმების პოტენციალს აქცევს.



ფონდის ბიძგაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPFA
Slovak Foreign Policy Association



საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

- **OPELO** - ევროპის მოხალისეობის სერვისის (EVS) ფარგლებში შეძენილი გამოცდილების ვალიდაციის ოპტიმიზაციის პროექტის ფარგლებში შემუშავდა დასაქმების უნარ-ჩვევების პროტფოლიო ამ სერვისის მონაწილეებისთვის

ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარება და ვალიდაცია სლოვენიაში

არაფორმალური და ფორმალური განათლების ჩარჩო ასევე ვრცელდება ახალგაზრდულ საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ მომხდარა ტრენინგის შედეგად შეძენილი კომპეტენციების ანალიზი, არსებობს ახალგაზრდული საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და წარმატებული პრაქტიკის დოკუმენტირების წარმატებული პარაქტიკები. მაგალითად:

- არაფორმალურად მიღებული ცოდნის დოკუმენტირების სისტემა ((Sistem za beleženje neformalnoprídobljenega znanja), რომელიც ნეფიკის ინსტიტუტის მიერაა შემუშავებული
- *Sčne značke* - ცოდნის სამკერდე ნიშნები - ღია ციფრული ნიშნების გამოყენების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს არაფორმალური აქტივობების შედეგად შეძენილი ცოდნის დაფასებასა და აღიარებას.
- *Moje izkušnje* - ჩემი გამოცდილება - სტუდენტური საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილების ვალიდაციისა და აღიარების ინსტრუმენტი

ამ ინსტრუმენტების შემუშავება სხვადასხვა კონტექსტში (საერთაშორისო მობილობა, დასაქმების პოტენციალის ზრდა და ა.შ) და სხვადასხვა არხების (ახალგაზრდული საქმიანობა, მოხალისეობა, სტუდენტური საქმიანობა, სრულ განაკვეთიანი დასაქმება) გამოყენებით ხდება. მათი უმეტესობის შექმნაში აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდულ საქმეთა ოფისი. გარდა ამისა, ახალგაზრდებში და ახალგაზრდულ მუშაკებში მათი უნარებისა და ცოდნის დოკუმენტირებისთვის ასევე პოპულარულია Youthpass-ისა და Europass-ის გამოყენება.

Erasmus+-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები ძირითადად შემდეგ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას: დასაქმების პოტენციალი, აქტიური მოქალაქეობა და პიროვნული განვითარება. შესაბამისად, სწორედ ამგვარი უნარების განვითარებაა ის ყველაზე მეტად მოსალოდნელი ეფექტი, რომელსაც ახალგაზრდული პროექტები სთავაზობს ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ გამოცდილება დააგროვონ მობილობის, მოხალისეობისა და ახალგაზრდულ პროექტებში მონაწილეობის მეშვეობით (თავისუფალი დროის გამოყენება, სათემო სერვისები, სოციალური ინოვაცია, ხელოვნება და კულტურა, მეწარმეობა და სტარტაპები და ა.შ).

უნივერსალური სამოქალაქო სერვისის (Universal Civil Service) ფარგლებში შეთავაზებული უნარებიც სამოქალაქო და დასაქმების მიმართულებებზეა ფოკუსირებული. სერვისის განმავლობაში შეძენილი უნარების სერტიფიცირებისთვის მზადების გზამკვლევი შედის:

- სპეციფიკური მოხალისეობრივი პროექტების მართვის უნარები

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

- სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები, როგორც ეს განმარტებულია ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში 22/5/2018 (სამოქალაქო და სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, საერთო ევროპული ფასეულობების პატივისცემა, საჯარო ინტერესებში წვლილის შეტანის უნარი, ადამიანის უფლებების პატივისცემა, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერა, გენდერული თანასწორობა, ცხოვრების მდგრადი სტილი, მშვიდობის კულტურა, პირადი ცხოვრების პატივისცემა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა).

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის მიმართულებით სიტუაციის მიმოხილვა

საქართველოში არაფორმალური განათლების აღიარებისთვის იურიდიულ საფუძველს ქმნის პროფესიული განათლების შესახებ არსებული კანონმდებლობა. პროფესიული განათლების შესახებ არსებული პროცედურებისა და წესების რევიზია 2019 წელს განხორციელდა არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ ევროკავშირის 2012 წლის რეკომენდაციების შესაბამისად. რევიზია ასევე მიზნად ისახავდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეზე.

არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი ოთხი ეტაპისგან შედგება, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის 2012 წლის რეკომენდაციასთან. ეს ოთხი ეტაპია: იდენტიფიცირება, დოკუმენტირება, შეფასება და სერტიფიცირება. ვალიდაციის მიზნებისთვის გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები. შეფასების პროცესმა უნდა დაადასტუროს თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან/და მოდულის სწავლის შედეგები დაადასტურა პირმა.

ვალიდაციის პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი ავტორიზაციის მქონე იურიდიული პირის მიერ და მხოლოდ ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში.

აღიარების პროცესის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად, აპლიკანტმა უნდა დააკმაყოფილოს მთავრობის მიერ დადგენილი მოთხოვნები. აღიარების უფლებას ანიჭებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

აღიარების პროცესის წარმართვის მიზნით, შესაბამისმა უწყებამ უნდა შექმნას კომისია, რომელიც დაკომპლექტდება სულ მცირე სამი წევრისგან: შესაბამისი პროფესიული სფეროს წარმომადგენელი (დამსაქმებლის წარმომადგენელი), პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამისი სფეროდან და უწყების/ინსტიტუტის წარმომადგენელი. კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დაშვებისა და შეფასების პროცესის ორგანიზების, ასევე საგამოცდო კომისიისა და მისი შემადგენლობისა და შეფასების შედეგების (განათლების შედეგების) ვალიდაციისა და აღიარების (სრულად ან ნაწილობრივ) შესახებ.



საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

ზოგადი განათლების საფეხურზე ხელმისაწვდომია ონლაინ განათლება და შესაძლებელია კომპეტენციების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება მხოლოდ მიღწეული სასწავლო შედეგების საფუძველზე.

რაც შეეხება ახალგაზრდულ საქმიანობას, ამ მიმართულებით არ მოქმედებს რაიმე ეროვნული დონის სისტემა, რომელიც მოახდენდა საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარებასა და ვალიდაციას.

რეკომენდაციები საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის განვითარებისთვის

ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარება და ვალიდაცია გათვალისწინებულია 2020-2030 წლების საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციაში. ახალგაზრდული საქმიანობის აღიარება ქვეყანაში მიმდინარე დებატების მნიშვნელოვანი თემაა.

რეკომენდებულია ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციისთვის ისეთი ციფრული ინსტრუმენტების შემოღება, რომელთა გამოყენება ახალგაზრდებს თვითშეფასებისა და რეფლექციის, ხოლო ორგანიზაციებს გაზომვის მიზნით შეეძლებათ. ინსტრუმენტი განამტკიცებს ახალგაზრდების თავდაჯერებულობას და გააუმჯობესებს პოტენციური დამსაქმებლების, ასევე სხვა პირებისა და ორგანიზაციების წინაშე საკუთარი უნარების წარმოჩენას და კომუნიკაციას.

რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯები:

- დაინტერესებული პირების რუკის შედგენა და მათი საჭიროებებისა და მოლოდინების აღწერა
- ძირითად დაინტერესებულ პირებთან აღიარებისა და ვალიდაციის შესახებ მოლაპარაკების წარმოება და შეთანხმება
- ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარების საკითხებთან დაკავშირებით დარგობრივი კომიტეტის ჩამოყალიბება
- აღიარებისა და ვალიდაციის მექანიზმების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება
- ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შექმნილი უნარების აღიარებისთვის შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტების შექმნა
- გზამკვლელების შემუშავება
- ტრენინგის მასალების შემუშავება ყველა ჩართული უწყებისთვის
- ყველა ჩართული უწყების შესაძლებლობების განვითარება
- საკანონმდებლო ბაზის გადახედვა და ცვლილებების შეტანა საჭიროებისამებრ

საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად შეძენილი უნარების აღიარებისა და ვალიდაციის სისტემის შექმნა

ბიბლიოგრაფია

2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია

ევროკავშირის ახალგაზრდობის 2019-2027 წლების სტრატეგია

ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში, კვლევის ანგარიში 2021

Europe encyclopedia of National Youth Policies <https://national-policies.eacea.ec.europa.eu/>

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №188/ნ არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი, <https://eqe.ge/ka/page/static/873/araformaluri-ganatilebis-aghiareba>